



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7/21

2023 წლის 29 აპრილი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება FIAT TIPO-ს (რეგისტრაციის ნომერი - VN 167 NN, გამოშვების წელი - 2022) FIAT TIPO-ს (რეგისტრაციის ნომერი - VN 168 NN, გამოშვების წელი - 2022) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უვადო სარგებლობაში გადაცემის საკითხის ცნობად მიღების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა (ს/კ 215138143) და შპს „სტრადა მოტორს“ (ს/კ 401960286) შორის, 2023 წლის 20 იანვარს გაფორმებული, №18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი 13.04.2023) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ იქნა 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება FIAT TIPO (რეგისტრაციის ნომერი - VN 167 NN, გამოშვების წელი - 2022) FIAT TIPO (რეგისტრაციის ნომერი - VN 168 NN, გამოშვების წელი - 2022), ერთეულის ღირებულებით 38 472.00 (ოცდათვრამეტი ათას ოთხასსამოცდათორმეტი) ლარი, საერთო ღირებულებით 76 944.00 (სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარი.

ხსენებული სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 19 აპრილის, №842.42231096 ბრძანების და 2023 წლის 19 აპრილის №8 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უვადო სარგებლობაში გადაეცა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციას“ (ს/კ 415112149).

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული, ის გარემოება რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება FIAT TIPO (რეგისტრაციის ნომერი - VN 167 NN, გამოშვების წელი - 2022), FIAT TIPO (რეგისტრაციის ნომერი - VN 168 NN, გამოშვების წელი - 2022), ერთეულის ღირებულებით 38 472.00 (ოცდათვრამეტი ათას ოთხასსამოცდათორმეტი) ლარი, საერთო ღირებულებით 76 944.00 (სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 19 აპრილის, №842.42231096 ბრძანების და 2023 წლის 19 აპრილის №8 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უვადო სარგებლობაში გადაეცა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციას“ (ს/კ 415112149).

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალურმა ინსპექციამ“ წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში მითითებული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გაატარონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყებუჩავა